18/09/2026

MES 4 26 0001262956

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“ დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი; საბჭოს წევრი
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა ნინიძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
დიმიტრი ცანავა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლა:
სარხან ხუბანოვი - სკოლის დირექტორი
შპს უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინო:
ნინო ქოქიაური - სკოლის დირექტორი
შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისი:
ალექსანდრე ვაშაკიძე - სკოლის დამფუძნებელი;
არჩილ სუმბაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლა:
ამირან თურმანიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლა:
ეკა ჩუბინიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლა:
მაია ოსიყმისშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლა:
ლელა დარბული - სკოლის დირექტორი
სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ რგანის საჯარო სკოლა:
მაია მეგრელი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლა:
ქეთევან გვარჯალაძე - გორგოშაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლა:
ა)თამარ ხეჩიკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამ მატიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინო:
ა) მამუკა ხამხაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ანა კვიჟინაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპსბაქსვუდისსაერთაშორისოსკოლათბილისი:
ა) მერი ქვრივიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) დალი ჯაბაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლა:
ა) ნინო ვასაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თეა ტაბატაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი
გ) ინგა ლომაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) შორენა გაგნიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ავალიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ქეთევან პარუნაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნათია კურტანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლანა არახამია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სხვა დამსწრე პირები შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით:
ნინო გოდერძიშვილი - მშობელი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 04 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე, დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე, დამსწრე პირებმა, გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოს მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოს მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული 2026 წლის 01 ივლისის N831630, 08 ივლისის N894514 და 21 ივლისის N958525 კორესპონდენციების განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
12. სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ რგანის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
13. სსიპ - ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-2 და მე-3, მე-4 და მე-5 საკითხებს საბჭო განიხილავდა გაერთიანებულ ფორმატში, რადგან შეეხებოდა ერთი სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდასა და იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილებას.

1.სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს

წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ ხეჩიკაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 26 ივნისს. ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ სკოლის მიერ წარმოდგენილი განაცხადი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ განაცხადით მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობა იყო 400. ექსპერტმა ასევე, განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 400 მოსწავლისთვის.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ დაფიქსირდა ხარვეზი, კერძოდ, სკოლას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობის სახანძრო
უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და შემუშავებული ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასების სისტემა. დაწესებულების მიმართ, ასევე, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი დაინტერესდა, მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის დაწყებული ჰქონდა თუ არა სკოლას მუშაობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში შეასრულებდა მიღებულ რეკომენდაციებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და 400-ით განსაზღვრის საკითხი.

დაწყების დრო - 14:50
დასრულების დრო -14 :58

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ

ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლას (ს/კ: 238146270) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთოხების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდული შეფასების სისტემის შექმნის, მრჩეველთა საბჭოში მანდატურის შეყვანის, 2027 წლის ივნისში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის, წიგნადი ფონდის საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავების, 2027 წლის დეკემბერში სკოლის ინფრასტრუქტურის სრულად ადაპტირების, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრისა და ყველა საჭირო ინფორმაციის სკოლის ვებ-გვერდზე განთავსების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა ცენტრში.

2. შპს უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოს მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა
3. შპს უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოს მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 23 და 24 ივლისს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ განაცხადით მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობა იყო 1000. ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1000 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. შენობა-ნაგებობა გამოირჩეოდა თანამედროვე, მრავალფუნქციური ინფრასტრუქტურით, რომელიც უზრუნველყოფდა უსაფრთხო, მაღალტექნოლოგიურ და ეკოლოგიურად ჯანსაღ სასწავლო გარემოს. სასწავლო და სპორტული სივრცეები, თანამედროვე ლაბორატორიები, და რეკრეაციული ზონები ქმნიდა პირობებს აკადემიური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის.
ექსპერტის, მამუკა ხამხაძის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებში.
საბჭოს თავჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორების საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ სკოლას ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის გადადგმული ჰქონდა ქმედითი ნაბიჯები. მისი თქმით, სკოლამ დაასაქმა მასწავლებლები, შეიმუშავა ახალი საათობრივი ბადე, სრულად მოწესრიგდა ექიმის კაბინეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის შეიძინა ცეცხლგამძლე მაგიდა, ასევე, მე-3 და მე-4 სართულზე დაამონდაავიდეოსამეთვალყურეო კამერები და სკოლა მზად იყო მიმდინარე წლის 14 სექტემბერს განეახლებინა სასწავლო პროცესი.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, განემარტა რას გულისხმებოდა სკოლის სახელწოდებაში გამოყენებული ტერმინი - „იცხო ენების უმაღლესი სკოლა“.სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში ხუთი დღის განმავლობაში ისწავლებოდა უცხოური ენა, ამ მიმართულებით სკოლის დატვირთვა იყო საკმაოდ მაღალი, შესაბამისად სკოლის სახელწოდებაც თანხვედრაში მოდიოდა სკოლის პროგრამასთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენიშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რა ეტაპზე იყო შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების საკითხი. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გარკვეული პროცედურები უკვე გავლილი ჰქონდათ შესაბამის უწყებასთან კოორდინირებით და უახლოეს მომავალში ექნებოდათ შესაბამისი დასკვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა.

1. შპს უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოს მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და 1000-ით განსაზღვრის საკითხი
2. შპს უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოს მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი

სკოლის წარმომადგენელმა, საბჭოს წევრებს მიმართა შუამდგომლობით, დადებითი გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2026 წლის 04 სექტემბერი.

დაწყების დრო - 15:18
დასრულების დრო -15 :22

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

1. გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ

ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, შპს უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოს (ს/კ: 406349303) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000-ით.

2. გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2 -ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად, განხორციელდეს შპს უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოს (ს/კ: 406349303) მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის მისამართის ცვლილება.

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული;	ვარკეთილი, ზემო პლატო, მე-2 მ/რ 11ა.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული;	ვარკეთილი, ზემო პლატო, მე-2 მ/რ 11ა.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული;	ვარკეთილი, ზემო პლატო, მე-2 მ/რ 11ა.

საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2026 წლის 04 სექტემბერი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში ვაკანსიების გამოცხადება ფიზიკის, მათემატიკის, ისტორიის/საქართველოს ისტორიის, დაწყებითების, ფიზიკური აღზრდის, კომპიუტერული ტექნოლოგიების, ინგლისურის, რუსულის, ფრანგულის, გერმანულისა და ჭადრაკის მიმართულებით, 2026 წლის დეკემბრში შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის, შენობის ვიდეო-სათვალთვალო სისტემით აღჭურვის, ექიმის კაბინეტში ონკანისა და საკანალიზაციო სისტემის დამონტაჟების, დამლაგებლის პოზიციაზე ვაკანსიის გამოცხადების, ლაბორატორიაში ცეცხლგამძლე მაგიდის, შეძენის, სველი წერტილების ადაპტირების,

ინტერნეტით მომსახურეობის ხელშეკრულების პირობების გაფართოების, ახალი შენობის აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა ცენტრში.

4. შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა
5. შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მერი ქვრივიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 22 და 23 ივლისს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ განაცხადით მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობა იყო 1200. ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1200 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულება გამოირჩეოდა თანამედროვე, მრავალფუნქციური ინფრასტრუქტურით.
ექსპერტის, მერი ქვრივიშვილის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებში.

საბჭოს თავჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, როდის იწყებდა სკოლა სასწავლო პროცესს.
სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი დაიწყებოდა მიმდინარე წლის 15 სექტემბერს. მისი თქმით, მოწესრიგებული იყო ყველა ის სივრცე, რაც სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელებას ესაჭიროებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა.

1. შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და 1200-ით განსაზღვრის საკითხი

2. შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი

სკოლის წარმომადგენელმა, საბჭოს წევრებს მიმართა შუამდგომლობით, დადებითი გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2026 წლის 04 სექტემბერი.

დაწყების დრო - 15:45
დასრულების დრო -15 :50

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

1. გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისს (ს/კ: 405712082) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200-ით.

2. გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2 -ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად, განხორციელდეს შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისს (ს/კ: 405712082) მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის მისამართის ცვლილება.

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული;	ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაშლიჯვრის დასახლება, მარშალ

				გელოვანის გამზირი N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული;	ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაშლიჯვრის დასახლება, მარშალ გელოვანის გამზირი N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული;	ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაშლიჯვრის დასახლება, მარშალ გელოვანის გამზირი N1

საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2026 წლის 04 სექტემბერი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში უზრუნველყოს მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის შესაბამისი კვალიფიციური მასწავლებლების დასაქმება, 2027 წლის 11 აგვისტომდე A ბლოკის მშენებლობის დასრულება, სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება სამივე კორპუსზე, დასკვნის მოპოვება შენობის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ A კორპუსთან მიმართებით; ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემების მოწყობა A კორპუსთან მიმართებით; შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვება, სადაც A კორპუსიც იქნება; 2026 წლის აგვისტოში მეორე სამედიცინო პერსონალის აყვანის, A ბლოკის მშენებლობის ეტაპების დასრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა ცენტრში.

6. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული 2026 წლის 01 ივლისის N831630, 08 ივლისის N894514 და 21 ივლისის N958525 კორესპონდენციების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ საბჭო განიხილავდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსულ 2026 წლის 01 ივლისის N831630, 08 ივლისის N894514 და 21 ივლისის N958525 კორესპონდენციებს, რომლებიც ეხებოდა შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისს გელოვანზე და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია. მომჩივანმა მშობელმა, აღნიშნა, რომ მის შვილს ჰქონდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსი. მისი თქმით, სასწავლო პროცესში გამოყენებული პრაქტიკა დისციპლინური რეაგირების ფორმებზე იყო ორიენტირებული, ხოლო ბავშვისთვის საჭირო მხარდამჭერი მექანიზმების სისტემური, წინასწარ დაგეგმილი და სტრუქტურირებული განხორციელების შესახებ კონკრეტული ინფორმაცია და სამოქმედო გეგმა მშობლისთვის წარმოდგენილი არ იყო. მისი თქმით, მისთვის მიწოდებული არ იყო კონკრეტული ვადები და დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ეტაპზე და რა ფორმით მოხდებოდა ახალი სასწავლო წლისთვის მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერის სისტემის ორგანიზება. მან აღნიშნა, რომ მისი, როგორც მშობლის

მიზანი არ იყო სკოლის ან სხვა რომელიმე პირის დადანაშაულება. აღნიშნული განცხადება ემსახურებოდა მხოლოდ მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს, რათა ჰქონოდა სრულფასოვანი განვითარების შესაძლებლობა სხვა მოსწავლეების მსგავსად. მოსწავლეს სჭირდებოდა მხარდამჭერი პირი სკოლაში სრულფასოვანი ადაპტაციისთვის. მშობლის თქმით, სკოლამ წარმოდგენილ პასუხში განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია და მიუთითეს ზოგად რეგულაციაზე რაც სკოლაში მოქმედებდა მსგავსი მოსწავლეების მიმართ. მშობელმა აღნიშნა, რომ მისი მთავარი მიზანი იყო ის, რომ დადგენილიყორამდენად ხდებოდა პრაქტიკაში სკოლის მიერ დამტკიცებული რეგულაციების სწორად გამოყენება. ვინაიდან სკოლამ მას, როგორც მშობელს ვერ დაანახა ერთიანი სისტემა, რომელიც წინასწარ უზრუნველყოფდა მოსწავლის ქცევისადმი სკოლის დროულ რეაგირებას. სკოლა კომუნიკაციით მხოლოდ უკვე მომხდარ ფაქტებზე ამახვილებდა ყურადღებას, რითიც მოსწავლის საუკეთესო ინტერესები გარკვეულწილად ირღვეოდა. სკოლის წარმომადგენელმა ბოლო შეხვედრის დროს აღინიშნა, რომ მოსწავლეს უჭირდა ქცევის კონტროლი, რითიც კიდევ უფრო მეტად გამოიკვეთა მხარდაჭერის აუცილებლობა. აღნიშნული უზრუნველყოფდა გარკვეული მეთოდების შემუშავებას, რითიც იხელმძღვანელებდა ის პირი, რომელიც უშუალო შემხებლობაში იყო მოსწავლესთან. მოსწავლეს ჰქონდა გარე მხარდაჭერა, დადიოდა სპეციალურ დაწესებულებაში, გადიოდა თერაპიის კურსს. მშობლის თქმით, აუცილებელი იყო სკოლაშიც მსგავსი თერაპიის კურსის დანერგვა, შესაბამისი სპეციალისტის მოწვევა და მისი მითიტებების შესაბამისად მოსწავლესთან ურთიერთობა.

საბჭოს თავჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, კითხვით მიმართა მშობელს, ჰქონდა თუ არა მოსწავლეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი. მშობელმა აღნიშნა, რომ სკოლამ მას მისცა რეკომენდაცია შეეფასებინათ მოსწავლე, მიმართეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირს და მოხდა მოსწავლის შეფასება, რის შედეგადაც მას მიენიჭა სსსმ სტატუსი. დოკუმენტი გადაეგზავნა სკოლას და დაიწყო შესაბამისი პროცედურების გავლა. მულტიდისციპლინური საბჭოს მიერ მოხდა შეფასება და ორ ივლისს დაიდო დასკვნა რომ ბავშვს ესაჭიროებოდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

საბჭოს თავჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, კითხვით მიმართა მშობელს, თუ როდის დაასრულა სკოლამ სასწავლო პროცესი. აღნიშნულთან დაკავშირებით, მშობელმა აღნიშნა, რომ სკოლამ სასწავლო პროცესი დაასრულა 14 ივნისს.

საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, კითხვით მიმართა მშობელს, კითხვა ეხებოდა ასისტენტის დანიშვნის საკითხს. მშობელმა აღნიშნა, რომ შეფასების პროცესში ასისტენტის საჭიროება არ გამოვლენილა და ამის საჭიროება ამ ეტაპზე არ იყო.

სკოლის წარმომადგენელმა, არჩილ სუმბაძემ, აღნიშნა, რომ სკოლას კომუნიკაცია ჰქონდა მშობელთან. პირველივე დღიდან მოხდა სპეციალური გუნდის მოწვევა, რომელმაც განიხილა აღნიშნული საკითხი და გასცა მითითებები შემდგომი რეაგირებისთვის. სკოლას ჰყავდა ინკლუზიური განათლების ხელმძღვანელი და არსებობდა შესაბამისი სქემა, რომლითაც დგებოდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სკოლას თანაბარი მიდგომები ჰქონდა ყველა მოსწავლესთან მიმართებით და ყველაფერი გაკეთდებოდა მოსწავლის სრულფასოვანი მხარდაჭერისთვის.

საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, ჰკითხა სკოლის წარმომადგენელს ჰქონდათ თუ არა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემუშავებული კონკრეტული მოსწავლისთვის.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როცა მათ დასკვნა წარედგინათ სასწავლო პროცესი თითქმის დასრულებული იყო, შესაბამისად, ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მოხდებოდა სწავლება. სკოლას შესაბამისი პირიც განსაზღვრულიჰყავდა..

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან მშობელთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:12
დასრულების დრო: 16:17

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განცხადებიდან, მშობლისა და დაწესებულების წარმომადგენლის დაფიქსირებული პოზიციის ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭომ არ მიიჩნია მიზანშეწონილად დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელება.

7. სსიპ - ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ვასაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 21 და 22 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ და რუსულ ენებზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1450. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 1450-ით განსაზღვრას ეთანხმებოდა მხოლოდ ორი ცვლის პირობებში.
ექსპერტის, ნინო ვასაძის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, ჰკითხა სკოლას თუ რა ნაბიჯები გადაიდგა გაცემულ რჩევებთან მიმართებით. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კათედრები აქტიურად მუშაობდნენ რჩევების გათვალისწინების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1450-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო -16:35

დასრულების დრო - 16:41

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლას (ს/კ: 245429344) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1450-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული; რუსული	ქალაქი ბათუმი, ჰაიდარ აბაშიძის ქუჩა N30
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული; რუსული	ქალაქი ბათუმი, ჰაიდარ აბაშიძის ქუჩა N30
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული; რუსული	ქალაქი ბათუმი, ჰაიდარ აბაშიძის ქუჩა N30

8. სსიპ - ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 31 აგვისტოს N1059844 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 3. 4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები.
2024 წლის 29 მაისს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე (ოქმი N649962) განხილული იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცების ბრძანება, მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება და წერილი სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან დაფინანსების მიზნით (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით). აღნიშნული საკითხები საბჭომ

მიიღო ცნობა.შემდგომ, სკოლამ ცენტრში წარმოადგინა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა თუმცა,დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სკოლის დირექტორი საბჭოს არ ესწრებოდა.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N1638083 ოქმის მე-7 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:43
დასრულების დრო: 16:53

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 31 აგვისტოს N1059844 ოქმის მე-5 ნაწილში და დაწესებულებამ სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებით ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ნოემბრამდე.

9. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 15 ნოემბრის N1552694 ოქმის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა პედაგოგების მიერ ნასამართლეობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები, შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და ვებ - გვერდის შექმნის დამადასტურებელი მტკიცებულება.
სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო პედაგოგების მიერ ნასამართლეობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები და ვებ - გვერდის შექმნის დამადასტურებელი მტკიცებულება.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორი საბჭოს არ ესწრებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით (შენობა -ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა) კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 ნოემბრის N1552694 ოქმის მე-2 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16 :55
დასრულების დრო: 17:08

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 15 ნოემბრის N1552694 ოქმის მე-2 ნაწილში და დაწესებულებამ ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა მოპოვებასთან დაკავშირებით ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ნოემბრამდე.

10. სსიპ - ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულ ების
შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 05 დეკემბრის N1647272 ოქმის მე-7 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.
სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია უზრუნველყოფის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დადებითი დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა რომ ქმედითი ნაბიჯები გადადგმულია სკოლის მხრიდან ნაწილობრივ შესრულებულია რეკომენდაციები და უახლოეს მომავალში სრულად შესრულდება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით (შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დადებითი დასკვნა) მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის N1647272 ოქმის მე-7 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 17:13
დასრულების დრო: 17:23

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 05 დეკემბრის N1647272 ოქმის მე-7 ნაწილში და დაწესებულებამ შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დადებითი დასკვნა. დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებით ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ნოემბრამდე.

11. სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 21 დეკემბრის N1747184 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ნოემბრამდე ცენტრშიწარმოედგინა პერსონალის პირადი საქმეების კანონმდებლობასთანშესაბამისობაში მოყვანის, კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო
მოთხოვნების, სკოლის ექიმის კაბინეტის მოწყობის, შენობა- ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის; საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვის და მოწყობის, ინკლუზიური გარემოს, ძველი კომპიუტერული ტექნიკის განახლების და მისი რაოდენობის სკოლის საჭიროებებთან შესაბამისობაში მოყვანის, ისტ ინფრასტრუქტურის მოწყობის, სკოლის ვებ- გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის სრულყოფილად განთავსების, სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტის, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების მშობლებთან/ კანონიერ წარმომადგენლებთან ზოგადი განათლების შესახებ კანონით დადგენილი წესით გაფორმებული ხელშეკრულებების დამდასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა ცენტრში.
სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო პერსონალის პირადი საქმეების მოწესრიგების, კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სკოლის ექიმის კაბინეტის მოწყობის, შენობა- ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები; ინკლუზიური გარემოს, ძველი

კომპიუტერული ტექნიკის განახლების და მისი რაოდენობის სკოლის საჭიროებებთან შესაბამისობაში მოყვანის, ისტ ინფრასტრუქტურის მოწყობის, სკოლის ვებ- გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის სრულყოფილად განთავსების, სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტის, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების მშობლებთან/ კანონიერ წარმომადგენლებთან ზოგადი განათლების შესახებ კანონით
დადგენილი წესით გაფორმებული ხელშეკრულებები.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვის მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორს არ სურდა პოზიციის დაფიქსირება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, (საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვის მტკიცებულება) მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის N1747184 ოქმის მე-4 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 17:25
დასრულების დრო: 17:37

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 21 დეკემბრის N1747184 ოქმის მე-4 ნაწილში და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვის მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ნოემბრამდე.

12. სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ რგანის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 22 ნოემბრის N1592651 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ნოემბრამდე შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნების, ვებ-გვერდის სრულყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო ვებ-გვერდის სრულყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა - ნაგებობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, აღნიშნა რომ სკოლა აქტიურად მუშაობდა რეკომენდაციების შესასრულებლად და უახლოეს მომავალში ყველა რეკომენდაცია შესრულებული ექნებათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, შენობა - ნაგებობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა. მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 ნოემბრის N1592651 ოქმის მე-5 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 17:42
დასრულების დრო: 17:46

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 22 ნოემბერის N1592651 ოქმის მე-5 ნაწილში და დაწესებულებამ შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნა წარმოადგინოს 2028 წლის სექტემბერში, ხოლო შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე ნაცვლად 2025 წლის ნოემბრამდე.

13. სსიპ - ქალაქ ბათუმის
N8 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 21 დეკემბრის N1747184 ოქმის მე-9 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ნოემბრამდე „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის“, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს კანონის საფუძველზე უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების, შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმია, შენობის

მდგრადობის შესახებ დასკვნის და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა ცენტრში.
სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის“, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს კანონის საფუძველზე უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმია, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, აღნიშნა რომ სკოლა აქტიურად მუშაობდა რეკომენდაციების შესასრულებლად და უახლოეს მომავალში ყველა რეკომენდაცია შესრულებული ექნებათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, (შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.) მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის N1747184 ოქმის მე-9 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო:17 :50
დასრულების დრო: 17:57

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 22 ნოემბერის N1747184 ოქმის მე-9 ნაწილში და დაწესებულებამ ინკლუზიური გარემოს მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოადგინოს 2028 წლის სექტემბერში, ხოლო შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ნოემბრამდე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 18:00 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე

ელექტრონული
მზამავლსმეღლა
ელექტრონული